საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/82 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დ. ნარიმანიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 43 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 38 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 4 მოსამართლის, მათ შორის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის - დავით ნარიმანიშვილის განაცხადი. დ. ნარიმანიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება. იგი 2012 წლიდან ასევე ახორციელებდა რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებასაც. მისი სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მას აქვს უნარი გააგრძელოს მუშაობა თბილისის საქალაქო სასამართლოს დატვირთვის პირობებში. ამასთან, დ. ნარიმანიშვილს აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, დავით ნარიმანიშვილი გათავისუფლდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი